ცნობა

ზურაბ ალავიძე დაიბადა 1976 წლის 11 თებერვალს;

1998 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით, 2010 წელს – გრენობლის ბიზნესის სკოლა. მინიჭებული აქვს ბიზნესის მაგისტრის ხარისხი და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი;

1996-1997 წლებში იყო სს „გაერთიანებული ქართული ბანკის" საერთაშორისო ურთიერთობისა და დილინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, 1997 წლიდან 1998 წლამდე – ამავე ბანკის დილინგის განყოფილების უფროსი;

1998 წლიდან 2005 წლამდე – სს „გაერთიანებული ქართული ბანკის" სახაზინო დეპარტამენტის დირექტორი;

1999-2006 წლებში – ქართული საფონდო კომპანიის გენერალური დირექტორი;

2000 წლიდან 2003 წლამდე – ACI საქართველოს ფინანსური ბაზრების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ACI მსოფლიო ფინანსური ბაზრების ასოციაციის წევრი;

2005 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა სს „გაერთიანებული ქართული ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილედ;

2006-2008 წლებში – „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" გენერალური დირექტორის მოადგილედ;

2009 წლიდან 2010 წლამდე იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე;

2011 წლიდან 2016 წლამდე – სს „დარიალი ენერჯის“ გენერალური დირექტორი;

2016 წლის 6 ივლისიდან 2016 წლის 27 ნოემბრამდე – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული პროექტების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი;

2016 წლის 27 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.